

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მომავალი სიღარიბის გარეშე” ნევრ ორგანიზაციათა შეხვედრა

სასტუმრო შერატონ პალასში სამოქალაქო ალიანსი სიღარიბის გარეშე A ნევრ
ორგანიზაციათა შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას 50-მდე არასამთავრობო ორგანიზაციის
წარმომადგენელი ესწრებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ,
ველფარ ფაუნდემენტმა კონფერენციის მონაწილეებს 2005 წელს განხორციელებული
საქმიანობის ანგარიში წარუდგინეს, რის შემდეგაც განხილულ იქნა ალიანსის 2006 წლის
სამოქმედო გეგმა. კონფერენციის მონაწილეებმა მოსაზრებები გამოთქვეს იმასთან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება უფრო ქმედითი გახდეს ალიანსის საქმიანობა. მათ მომავალში ალიანსის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში უფრო აქტიური მონაწილეობის სურვილი გამოხატეს.

ალიანსი [] სიღარიბის გარეშე A საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების [] ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის, ველფეარ ფაუნდეიშენისა და [OXFAM](#) საქართველოს ინიციატივით ჩამოყალიბდა. იგი სიღარიბის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო მოძრაობის [] მოწოდება ქმედებისაკენ სიღარიბის დასაძლევად A (GCAP) ნაწილია, რომელიც უკვე ერთი წელია ფონდ [NOVIB](#)-ისა და საქველმოქმედო ორგანიზაცია OXFAM-ის მხარდაჭერით განხორციელებული საქმიანობით [] საზოგადოების ინფორმირებით, ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდისაკენ მიმართული ღონისძიებებით - ცდილობს ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევას. ალიანსის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებგვერდს www.whiteband.ge